



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. თელავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 5
16/01/2019

5-09-4-201901161516



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ აქტებთან
დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 103-ე მუხლის და 106¹-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საკრებულოს მიერ მისაღებ შემდეგ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N6 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №39 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების

დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის #18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა შესაბამისმა კომისიამ უზრუნველყონ 2019 წლის 18 იანვრამდე.

მუხლი 3. ნორმატიული აქტების პროექტები საკრებულოს განსახილველად წარედგინოს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

